





# 1964 წლის ფულისა და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის პირობები

1. 1964 წლის ფულისა და ნივთების ოლიმპიური ლატარიის ატარებს სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირის ცენტრალური საბჭო.  
2. ლატარიის თანხა განსაზღვრულია 18.000.000 მანეთით. ამ თანხის ოდენობით გამოშვებულ იქ-

ნება ლატარიის ბილეთები. თვითფულის ფასია 30 კაპიკი.  
3. ლატარია იყოფა ცალკეულ თანრიგებად, ყოველი მათგანი 600.000 მანეთის ოდენობით. ყოველი თანრიგი შედგება 20.000 სერისგან, დაწვებული № 00001-ით და დამთავრებული № 20.000-ით. ყოველ სერის აქვს 100 ბილეთი,

დაწვებული № 001-ით და დამთავრებული № 100-ით.  
4. ლატარიის მოგებათა ტირაჟი გაიმართება ქ. მოსკოვში 1964 წლის 14 ოქტომბერს.  
5. ტირაჟში გათამაშდება 6.000.000 მანეთის 1.800.000 მოგება, მათ შორის:



ლოტორიული (მანეთებისა და კაპიკების)	I თანრიგში (600.000 მ)		მთელს ლატარიაში (30 თანრიგში)		
	რაოდენობა	თანხა (მან. კაპ.)	რაოდენობა	თანხა მანეთებში	
1. ავტომობილი „მოსკვიჩი-403“	3490-00	1	3400-00	30	102.000
2. ავტომობილი „საბოროუეცი“	2220-00	1	2220-00	30	66.600
3. მოტოციკლი „ემ-62“	1080-00	2	2160-00	60	64.800
4. ნავიანი მოტოციკლი „იუ-იუპიტერი“	830-00	3	2490-00	90	74.700
5. მოტოციკლი „იუ-იუპიტერი“	580-00	5	2900-00	150	87.000
6. მოტოროლერი „ტულა“	500-00	5	2500-00	150	75.000
7. მოტოროლერი „ვიატკა“	320-00	5	1600-00	150	48.000
8. დასაშლელი ბაიბარა „ლადოგა“	175-00	10	1750-00	300	52.500
9. მოტოველოსიპედი	150-00	100	15000-00	3000	450.000
10. სპორტული ველოსიპედი (საგზაო)	130-00	40	5200-00	1200	156.000
11. ნავი „სტრელას“ ძრავი	125-00	100	12500-00	3000	375.000
12. ნავი „კამას“ ძრავი	115-00	40	4600-00	1200	138.000
13. დასაშლელი ბაიბარა „პრიმა“	110-00	50	5500-00	1500	165.000
14. რეზინის ორადგილიანი გასაბერი ნავი	80-00	5	400-00	150	12.000
15. წყალგაუვავი ქსოვილის ორადგილიანი ტურისტული კარავი	60-00	10	600-00	300	18.000
16. ერთადგილიანი რეზინის ნავი	54-00	10	540-00	300	16.200
17. შალის ტრიკოტაჟის საგარჯიშო კოსტუმი	48-00	10	480-00	300	14.400
18. ორადგილიანი ტურისტული კარავი „მოსკვიჩა“	40-00	10	400-00	300	12.000
19. ორფეიანი სპორტული სარბენი თხილამურები, ლითონის სათხილამურო ჯოხები და სათხილამურო ფეხსაცმელი	28-50	600	17100-00	18000	513.000
20. ჩოგბურთის სათამაშო კომპლექტი	26-20	100	2620-00	3000	78.600
21. ბადმინტონის სათამაშო	25-50	50	1275-00	1500	38.250
22. სპინინგი კოჭით	25-00	40	1000-00	1200	30.000
23. სარბენი ციკურები ფეხსაცმლით	20-00	100	2000-00	3000	60.000
24. პოკეის ციკურები რეზინისძირიანი ფეხსაცმლით	11-00	600	6600-00	18000	198.000
25. წყალქვეშა ცურვის კომპლექტი (ნილაბი, ფარფლი, სასუნთქი მილი).	11-00	200	2200-00	6000	66.000
26. მაგიდის ჩოგბურთის სათამაშო	5-80	400	2320-00	12000	69.600
27. ბადმინტონის სათამაშო ჩოგანი	5-60	100	560-00	3000	16.800
28. ფეხბურთის ბურთის საბურავი კამერით	4-50	400	1800-00	12000	54.000
29. ჩამოსხმული განტელები	3-00	200	600-00	6000	18.000
30. ფრენბურთის ბურთის საბურავი კამერით	2-50	200	500-00	6000	15.000
31. საზღვარგარეთ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასამზავრებელი 10-12-დღიანი ტურისტული საგზური	400-00	3	1200-00	90	36.000
32. საზღვარგარეთ საერთაშორისო შეჯიბრებებზე გასამზავრებელი 10-12-დღიანი ტურისტული საგზური	300-00	3	900-00	90	27.000

სულ 3403 104915-00 102090 3.147.450

## ფულადი მოგება

მოგებათა ზომა	ერთ თანრიგზე		მთელს ლატარიაში	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
100 მან.	12	1200-00	360	36.000
50 »	200	10000-00	6000	300.000
25 »	300	7500-00	9000	225.000
10 »	900	9000-00	27000	270.000
5 »	1900	9500-00	57000	285.000
3 »	2300	6900-00	69000	207.000
1 »	50935	50985-00	1.529550	1.529.550
<b>სულ</b>	<b>56597</b>	<b>95085</b>	<b>1.697910</b>	<b>2.852.550</b>
<b>სულ მოგება</b>	<b>60000</b>	<b>200000</b>	<b>1.800000</b>	<b>6.000.000</b>

6. ლატარიის ბილეთის მფლობელს, რომელსაც ხვდა ნივთის ან საგზურის მოგება, სურვილის მიხედვით შეუძლია მიიღოს ნივთის ან საგზურის საფასური.  
7. ლატარიის ბილეთებით ფულად მოგებას ან ნივთების სანაცვლოდ თანხის გაცემას აწარმოებენ შემნახველი სალონოები.  
8. ლატარიის ბილეთები, რომელთაც ხვდათ ნივთების ან საგზურ-

ების მოგება, მფლობელების მიერ გაიგზავნება ფასიანი წერილით, ან პირადად ბარდება ფული-სა და ნივთების ოლიმპიური სპორტული ლატარიის ჩამატრებული სპორტკავშირის ცენტრალური საბჭოს განყოფილებას შემდეგი მისამართით: მოსკოვი, ლუუნოვი, ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი. ბილეთებთან ერთად იგზავნება ან ბარდება განცხადება, რომელშიც აღინიშნება მომგების გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი.  
9. ლატარიაში მოგებული ბილეთები გასანაღებლად წარმოდგენილ უნდა იქნას 1965 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით), ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავს და გასანაღებლად არ მიიღება.

დება, რომელშიც აღინიშნება მომგების გვარი, სახელი, მამის სახელი და ზუსტი მისამართი.  
9. ლატარიაში მოგებული ბილეთები გასანაღებლად წარმოდგენილ უნდა იქნას 1965 წლის 30 ივნისამდე (ჩათვლით), ამ ვადის გასვლის შემდეგ ლატარიის ბილეთები ძალას კარგავს და გასანაღებლად არ მიიღება.

## ნორჩ სპარტაკელთა შორის

რუსეთის მეტალურგიული ქარხნის ფიზკულტურის სახლის სპორტულ დაბაზში ჩატარდა „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს პირადი პირველობა ფარიკაობაში მონაწილეთა შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ თბილისის, ქუთაისის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთისა და რუსეთის წარმომადგენლები.  
მოსპარტაკელი დაყოფილი იყვნენ ქვეჯგუფებად, აქ გამარჯვებულ სპორტსმენთაგან, კი იქმნებოდა ფინალური ჯგუფი.  
ხმლით მებრძოლთა შორის ფინალში დაუმარცხებლად გვიდნენ თ. მეშველიანი (ქუთაისი) და გ. ვაშაძე (თბილისი). აქ მეშველიანმა წააგო ვამაძესთან, ხოლო ეს უკანასკნელი დამარცხდა ა. ნავროზაშვილთან (რუსთავი). საბოლოოდ, კონკურენტებს თითო-თითო დამარცხება აღმოაჩნდათ, რის გამოც მათ შორის გაიმართა გამეორებითი ბრძოლა, რომელშიც გაიმარჯვა ქუთაისელმა სპორტსმენმა — 5:4.

რაპირით მებრძოლ ვაქთაგან ფინალში დაუმარცხებლად შევიდნენ რ. სარიაშვილი (ქუთაისი), ა. ავეტისიანი (აფხაზეთი) და თ. ქარელიძე (რუსთავი). შემდეგ სარიაშვილმა მხოლოდ ერთი დამარცხება განიცადა და მიიწვია გაიხილდა I ადგილი.  
10. მონაწილე იბრძოდა დამნისო აქ საბოლოოდ 8-8 მოგება აღმოაჩინდათ ა. ლორთქიფანიძეს (თბილისი) და ს. მოწონაშვილს (ქუთაისი). გამეორებით ბრძოლაში გაიმარჯვა ლორთქიფანიძემ.  
გოგონათა შორის თბილისელმა გ. თეაურმა ყველა შეხვედრა მოიგო და I ადგილზე დაიკავა.  
შეჯიბრების შემდეგ შეიქმნა ნაკრები გუნდი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე (ლვოვში).  
რ. ვაზარძისძე (ჩვენი კორ.).  
რუსთავი.

## „ცნობ“ ზაქარიაშვილი-ვახაშვილი

ჩვენი გაზეთის ა. წ. 13 ივნისის ნომერში გამოქვეყნდა წერილი „ფანტაზია ცუდი პერსპექტივით“, რომელშიც აღნიშნული იყო წყალტუბოს რაიონის მთელ რიგ სოფლებში ფიზკულტურულ-სპორტული მუშაობის დაბალი დონე, სპორტული მოედნებისა და ინვენტარის უქონლობა და სხვ.  
როგორც საქართველოს კომპარტიის წყალტუბოს სასოფლო-საწარმოო პარტიული კომიტეტის მდივანი ახ. ო. აბესაძე ვაჭაუბონებს, წერილში მოყვანილი ფაქტები დადასტურდა. პარტიული კომიტეტის ბიურომ განიხილა რაიონში ფიზკულტურულ-მასობრივი და სპორტული მუშაობის მდგომარეობის საკითხი. მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმას-

კომის დადგენილებით სპორტკვანტებს გამოუყოთ თანხა, რომელიც მოხმარდება მაღლაკის, ფარცხანაყანევის, ორპირისა და სხვა სოფლების სპორტული ბაზებისა და მოედნების კეთილმოწყობას, ამჟამად მიმდინარეობს და უახლოეს ხანში დამთავრდება გეგმითა და ბროწეულას სკოლა-ინტერნატის ფეხბურთისა და კალათბურთის მოედნების, აგრეთვე სარბენი ბილიკების კეთილმოწყობა. ყველა სოფელში საკუთარი ძალებით გაკეთდება სპორტული მოედნები და სხვ.  
მნიშვნელოვანი ადგილი დეპუტატთა ჩაის ფაბრიკებსა და მსხვილ კოლმეურნეობებში საწარმოო ტანვარჯიშის დაწესებას.



თბილისში ამაჟნათ გამართულ საქართველოს განათლების სამინისტროს მოცურავეთა ნაკრები გუნდის შერჩევით შეჯიბრებაზე შესანიშნავ წარმატებას მიაღწია ნ. ჭუმბაძემ (მწვრთნელი ა. საფრონოვი). მან 100 მეტრზე ზურგზე ცურვაში აჩვენა 1.16.0, რითაც პირველად შესარულა სპორტის ოსტატის ნორმატივი და რესპუბლიკის ახალი რეკორდი დაამყარა გოგონათა და ქალთათვის.  
სურათზე: რეკორდის ავტორი იღებს სტარტს.  
ფოტო ი. იუნაივისა.



# ყ ვ ე ლ ა გ ე მ ა ს ო ბ რ ი ვ ე რ ი

სსრ კავშირის თასი  
ფეხბურთში ფიჭაულბურის  
კოლმედიანების  
გუნდისათვის

ამაგამდე შეიძლება ითქვას, რომ სსრ კავშირის თასის გათამაშება ფიჭაულბურის კოლმედიანების ფეხბურთელთა გუნდისათვის ყველაზე მასობრივ შეჯიბრებას წარმოადგენს ამ სახეობაში. თასი დიდი ხანი არაა რაც დაწესდა, მაგრამ ბოლო წლებში მას დიდი პოპულარობა ჰპოვა. მისი პირველი მფლობელები იყვნენ თბილისის ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს ფეხბურთელები.

შემადგენლობაში თამაშის უფლება აქვთ ფეხბურთელებს, რომლებიც დაწესებულებაში ირიცხებიან არანაკლებ 6 თვისა გათამაშების პირველი ეტაპის დაწყებამდე (კოლექტივის, რაიონის, ქალაქის თასი). გარდა ამისა, თასის დებულება ითვალისწინებს დაწესებული ნორმატივების სავალდებულო ჩაბარებას გათამაშების მონაწილეთათვის. მატჩების პროცესში შეიძლება მინდვირის ორი მთავარი და ერთი მეკარის შეცვლა.

ლობითი ნორმები: რსფსრ — 9 გუნდი (ზონებში გამარჯვებულნი), უკრაინა — 5, ბელორუსია — 2, ყაზახეთი — 2, მისკოვია — 2. დანარჩენ რესპუბლიკებს და ქ. ლენინგრადს ფინალში ეძლევათ თითო ადგილი.

დი პირველი დამარცხების შემდეგ ტოვებს შეჯიბრებას. თუ შეხვედრა დამთავრდა ფრედ, მეტოქენი კვლავ ხედებიან ერთმანეთს მეორე დღეს. შეიძლება გამარჯვებული ვერ გამოავლინოს მეორე და მესამე დამატებითი მატჩებიც კი. მაშინ მესამე შეხვედრის დამთავრების შემდეგ ორივე გუნდის კარში ინიშნება 5-5 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

რი მატჩების ჩატარების ადგილს განსაზღვრავს სსრ კავშირის ფეხბურთის ფედერაცია. შეჯიბრებაში გამარჯვებული გუნდი დაჯილდოვდება სსრ კავშირის სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების მიერ დაწესებული გარდასავალი თასით. გარდა ამისა, დაწესებულია სპეციალური პრიზები ფინალში მონაწილე ოთხივე კოლექტივისთვის. მეორე ადგილზე გამოსულ გუნდს გადაეცემა გავით „ტრუდის“ გარდასავალი პრიზი, მესამეზე — ურნალ „სმენის“, ხოლო მეოთხეზე — ურნალ „სპორტინგი იგრის“ პრიზი.




სურათზე: ერთ-ერთი მომენტის განვლილი მატჩიდან ბათუმისა და მახაჩკალის დინამოელთა შორის. ბათუმელები უბრუნებენ სტუმრების კარს. ფოტო ა. ტულუშისა.

## მ ნ რ ი კ ე ფ ი ბ ე რ ო ლ ა — „ ე ლ ს კ უ ტ ნ ი კ კ უ ბ ა ნ ო “

ასე უწოდებენ მას ლათინურ ამერიკაში. „ელ სკუტნიკ კუბანო“ — „კუბელი თანამშავერი“ ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტული მსოფლიოში.

იწყა ვარჯიში, თუმცა თავი არც ბესბოლისთვის დაუნებებია. შედეგები სწრაფად იზრდებოდა. 1957 წელს პირველ ოფიციალურ შეჯიბრებაში ენრიკემ 100 მეტრზე 11,1 აჩვენა, სამი თვის შემდეგ კი კუბის ჩემპიონატში 10,8 წამი. კუბის რევოლუციის გამარჯვებამ, ახალმა ცხოვრებამ ჭაბუკის წინაშე დიდი პერსპექტივები გადაშალა. მის „რეაქტიულ“ სისწრაფეს ხსნავს ფაქტებიც ალბარაკდენ.

ამერიკული თამაშები, სოფლის უნივერსიტეტი და სხვა საერთაშორისო შეჯიბრებანი მუდამ „კუბელი თანამშავერის“ გამარჯვებით მთავრდებოდა. ენრიკეს ოცნება იყო ძაღლები ეცადა მოსკოვშიც ძმები ზნამენსკების პრიზზე გამართულ შეჯიბრებაში, ტოკიოში წასვლის წინ ერთხელ კიდევ შემოეწმინდა საკუთარი ძაღლები. და აი, მისი ოცნება ახლა! ფიგურალმა შესანიშნავი დრო — 10,2 აჩვენა და ყველას აჯობა.



კიოშიც წარმატებით დაიცვა მშობლიური კუბის სპორტული დღეობა. სურათზე: გამარჯვებული ე. ფიგეროლა ეხალმება მაჟურტელს.

ლი შეეტანათ სპორტის ამ ეროვნული სახეობის აღორძინებაში. უნდა ითქვას, რომ მთავარი მხარის მოწოდება უმასუხოდ არ დარჩენილა. ორთაბრძოლები უმთავრესად დაძაბული და სანტიტრესო იყო. ბევრმა მოკიდევინა გამაჯობიონა ტექნიკური შერკინებისკენ სწრაფა და კარგი საბრძოლო თვისებები.

ფიგურალა წარმატებით გამოვიდა რომის ოლიმპიადიზე, ფინალში IV ადგილი მოიპოვა — 10,3. ცენტრალური ამერიკის, პანამერიკული, იბერო-

გულისხმიანი დამოკიდებულება ქართული სტილის მოკიდევითავე სტიმულის მისაცემად. იმის გარდა, რომ გამარჯვებული გუნდი „ტრადიციულად“ დაჯილდოვდა გარდასავალი თასით, ხოლო ცალკეულ წონებში გამარჯვებული მოკიდევით — დიპლომებით, შეჯიბრების ორგანიზატორებმა იზრუნეს მეტად საგულისხმო „დეტალზე“: საპრიზო ადგილებზე გამოსულ სპორტსმენებს გადაეცათ შესაბამისი უბოძებებიც. ეს „წვირლმანი“ ფალავანთა დიდი წახალისების წყარო გახდა.

სურათზე: გამარჯვებული ე. ფიგეროლა ეხალმება მაჟურტელს.

## მ ს ო ფ ლ ი ო რ ჩ ე მ კ ი ო ნ ი მ ო უ წ ო დ ა მ ს ფ ა ლ ა მ ნ ა მ ს ...

„განთიადის“ პირად-გუნდური პირველობა მართულ ვიდეოგამაჯობაში

განსაკუთრებით დამაბნელებელი იყო ორთაბრძოლა კვემსუბუქი წონის მოკიდევითა — ზ. ჯურხულსა და გ. ბალხამიშვილს შორის. თითქმის უანაკნელ წამებამდე დიდრობდა ახალგაზრდა თბილისელი ოსტატი, რომელსაც 5 ქულით მიჰყავდა ბრძოლა. მაგრამ საქართველოს ჩემპიონის — ბალხამიშვილის გამოცდილებამ სწორედ უანაკნელ წამებზე თქვა სიტყვა: შეტოქის თითქოს უმნიშვნელო შეცდომას მოჰყვა ელვისებური ფანდი და ჯურხული ბეჭებზე აღმოჩნდა.

მოგვყავს შეჯიბრების ტექნიკური შედეგები. წონითი კატეგორიების მიხედვით „განთიადის“ ჩემპიონები გახდნენ: დ. ლორთქიფანი (თბილისი), ა. პაპინაშვილი, გ. ბალხამიშვილი (ორივენი — კასპიდან), გ. ბახიაშვილი, ი. ქვილიძე, ბ. ბურჯანაძე (სამივენი — თბილისიდან), ზ. გობეჯიშვილი (ქუთაისი), გ. კულიჩანოვი (ბორჯომი). გუნდურ ჩათვლაში გამარჯვება თბილისის ელმავალმშენებელი ქარხნის კოლექტივმა.

## ყ უ რ ა დ ლ ე ბ ა ს ა რ გ ვ ა ქ ც ე ვ ე ნ

რესპუბლიკის პირველობაზე ფეხბურთში გეგეპკორიდან მონაწილეობის „სალხინოს“ გუნდი. ძლიერ მოწინააღმდეგეებთან ბრძოლაში წარმატების მოსაპოვებლად ფეხბურთელებს სჭირდებოდა ნორმალური პირობები, მაგრამ ადგილობრივი სპორტკავშირის (თავმჯდომარეა ტყეშუაძე) უყურადღებობა გამო გუნდი მოკლებულია რეგულარული მეცადინეობის საშუალებას.

წე. განა არ შეიძლება ადგილობრივი სპორტული ბაზის წესრიგში მოყვანა, რომ იქ მოხერხდეს მატჩების ჩატარება? მაგრამ ამაზე არაა ზრუნავს. იყო შემთხვევა, როცა „სალხინომ“ ვერ შეძლო გასვლითი მატჩი ჩატარება ვინაიდან სპორტკავშირმა ვერ მოაგვარა საამისო ფინანსური საკითხები.

## მ მ ჩ ა ი ე თ ა წ ა რ ი მ ა ტ ე ბ ა

დამთავრდა ოჩამჩირის თასის გათამაშება ფეხბურთში. ფინალში ერთმანეთს შეხვედნენ ჩაის ფაბრიკისა და აგეტსარემონტო კანტორის გუნდები. ანგარიშით 2:0 გაიმარჯვა ჩაის ფაბრიკის გუნდი, რითაც უფლება მოიპოვა მონაწილეობა მიიღოს აფხაზეთის თასის გათამაშებაში

ფიჭაულბურთა კოლექტივებს შორის. გამარჯვებულთაგან აღსანიშნავია ა. ბარამისა, ზ. ბეჟანისა, განსაიას და ი. ბლუსოვის კარგი თამაში. ზ. სოხაძე


## დ. შ ა ნ ი ძ ი ს რ ე მ კ ო რ დ ე ბ ი

თბილისში, „განთიადის“ სპორტულ დარბაზში, ორ დღეს გრძელდებოდა ბალხანთა პირად-გუნდური შეჯიბრება რესპუბლიკის უძლიერესი სპორტული კლუბების გამოსავლენად.

შეიძლება არ აღინიშნოს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონები გახდნენ: ტ. კელიძე — 230 კგ, ო. კარგარეული — 225 (ორივენი — „განთიადი“, თბილისი), დ. შანიძე — 327,5 (სპორტული, ქუთაისი), გ. ოგანეზოვი — 315, შ. კაცობაშვილი — 360 (ორივენი — „გამარჯვება“), დ. ქათამაძე — 380 (სპორტული, ქუთაისი), კ. ბახაძე — 410, დ. მუსუღლიანი — 380 დ. გ. სანაძე — 405 (სამივენი — „გამარჯვება“).

კარგი შთაბეჭდილება დატოვეს ზესტაფონელმა ძაღლმწიფმა. ამ ახალგაზრდა კოლექტივის ერთი წელია, რაც სათავეში ჩაუდგა თბილისელი სპორტის ოსტატი კ. ბახაძე. ზესტაფონელმა სპორტსმენებმა უკვე 3-ჯერ მიიღეს მონაწილეობა საქართველოს უძლიერეს ძაღლმწიფთა ტურნირში, ამ შეჯიბრებაში მათ სამი საპრიზო ადგილი დაიკავეს, რომელთაგან აღსანიშნავია 17 წლია ე. ბუტაშვილის შედეგი (11 ადგილი კვემსუბუქი წონაში მეორე თანრიგის შედეგით).

გასაკიცხია რუსთაველთა საქციელი. „განთიადის“ რუსთაველის საქალაქო საბჭომ ორჯერ მიიღო შეჯიბრების დებულება, მაგრამ ასპარეზობას თავი აარიდეს მეტალურგიული ქარხნის ძლიერმა კოლექტივმა და ქალაქის ნაყრბმა.



სურათზე: დ. შანიძე ასპარეზობისას.



# შინ გაანაწიენა ჩასიხტეხიხთვიხ გახსულაქ სიქსაქ?



უკანასკნელ ხანებში ინგლისის ბურჟუაზიულ პრესაში დაიბეჭდა სტატიები, რომლებიც შეეხებოდა საბჭოთა ჩოგბურთელების პრობლემებს.

ტესტის სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის სპორტსმენთა მიმართ. ჩვენს ოსტატებს აღნაშაულებდნენ „არასპორტული ქვეყნის“, „უიმბლდონის ტურნირის ნორმალური სვლის დარღვევის“, „სპორტში პოლიტიკის შეტანის“ გამო. ასეთი წერილებით გამოვიდნენ „დეილი ექსპრესი“, „დეილი სკეტი“ და სხვა გამოცემები.

„სოვეტსკი სპორტი“ აუცილებლად თვლის უპასუხოს ამ გახეობებს, გამოთქვას საბჭოთა სპორტული საზოგადოებრიობის აზრი უიმბლდონში მომხდარ შეშინებებზე.

უიმბლდონში კი აი რა მისდა.

ინგლისის საზოგადოებრივ ტრადიციულ ტურნირში ბევრი ქვეყნის სპორტსმენებთან ერთად მიწვეული იყვნენ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ჩოგბურთელებიც.

ტურნირის ორგანიზატორებმა ჩინებულად იცოდნენ, თუ რა აღმოფხვრება იწვევს მთელს პლანეტაზე ამ ქვეყანაში გამეფებული საზიხარარი რასობრივი დისკრიმინაციული პოლიტიკა. ამ ქვეყნის წინააღმდეგ პროტესტთა ტალღამ სპორტზე მოიქცა. ჯერ კიდევ უიმბლდონის ტურნირის დაწყებამდე თავიანთი დამოკიდებულება რასისტული სახელმწიფოს წარმომადგენლებთან გამოავლინეს პოლონელი სპორტსმენებმა, რომლებმაც უარი თქვეს დევისის თასზე სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე. პროტესტის დემონსტრაციები თან ახლდა თასის მატჩებს, რომლებშიც მონაწილეობდა სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის გუნდი ნორვეგიასა და საფრანგეთში. ცნობილი იყო საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის წინააღმდეგო სანქცია სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. სულ ახლახან, ფრადი სპორტსმენებისადმი დისკრიმინაციისთვის საერთაშორისო ოლიმპიურმა კომიტეტმა ნება არ დართო სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკას მონაწილეობა მიეღო ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. მიუხედავად ამისა, ინგლისელებმა მაინც მიიწვიეს შეჯიბრებაზე ამ ქვეყნის ჩოგბურთელები.

შეეძლოთ თუ არა საბჭოთა ჩოგბურთელებს, რომლებიც აღზრდილი არიან ხალხთა შორის მეგობრობის სულისკვეთებით, შეხვედროდნენ რასისტული სახელმწიფოს წარმომადგენლებს? არა, არ შეეძლოთ! და მათ უარი თქვეს მათთან შეხვედრაზე. ასე მოიქცა ალექსანდრე მეტრეველი, ასე მოიქცნენ ანა დმიტრიევა და სერგეი ლიხაროვი. ჩოგბურთის საბჭოთა ოსტატებს მიბაძეს უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და იუგოსლავიის სპორტსმენებმაც.

სწორედ ეს არ მოეწონათ ინგლისის გარკვეულ წრეებს, იმ წრეებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინააღმდეგობას უწევენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. სწორედ ეს არ მოეწონათ ინგლისის გარკვეულ წრეებს, იმ წრეებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინააღმდეგობას უწევენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ. სწორედ ეს არ მოეწონათ ინგლისის გარკვეულ წრეებს, იმ წრეებს, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში წინააღმდეგობას უწევენ რასისტული სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მიმართ.

მეტრეველი — ერთეულთა თანრიგში, დმიტრიევა და ლიხაროვი — წველითა შორის — ძალზე წარმატებით გამოდიოდნენ ტურნირის მატჩებში და შეეძლოთ საბჭოთა ადგილების მოპოვება. მეტრეველმა გაიმარჯვა არაოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატის სამ შეხვედრაში და უიმბლდონის 16 საუკეთესო ჩოგბურთელთა რიცხვი შევიდა. მას დიდი შანსები ჰქონდა გასულიყო მეოთხედფინალში, რისთვისაც ჯერ არ მიუღწევია არც ერთ საბჭოთა ჩოგბურთელს. „მან თვით გაიფხუჭა თავისი საქმი“, — წერდნენ გახეობები. მაგრამ მეტრეველს არ შეეძლო ეღალატა სინდისისათვის და საბჭოთა სპორტსმენები იწონებენ მის მოქმედებას.

უიმბლდონის ე. წ. ინციდენტები იმაზე მეტყველებენ, რომ ჩოგბურთელები დადგა დრო კონკრეტული და რადიკალური ზომები მივიღოთ სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის რასისტული მიმართ. ამის სრული საშუალება აქვს ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის კონგრესს, რომელიც 8 ივლისს გაიმართება ვენაში. მით უფრო, რომ ფედერაციის ხელმძღვანელმა კომიტეტმა მრავალი წლის შესვენების შემდეგ გადაწყვიტა რეკონვენცია მისცეს კონგრესს ჩოგბურთის ფედერაციის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში შესვლაზე. ეს კი ნიშნავს ჩოგბურთის დაბრუნებას სპორტის ოლიმპიურ სახეობათა რეპერტუარში. ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის ხელმძღვანელმა ხომ არ წაიყვანს სამხრეთაფრიკელ რასისტებს თამაშებზე? ისინი ხომ კინწისკვრივთა გამოავადეს ოლიმპიური მოძრაობიდან!

დასასრულ ისდა დაგვჩა დაგვმატო, რომ თვით ინგლისში ყველაზე რთვილი მიდო საბჭოთა ჩოგბურთელების მოქმედება, როგორც „პოლიტიკური ჩარევა სპორტში“. ბურჟუაზიული „დეი-

ლი ჰერალიდი“, რომელმაც ამ ამბავი მოწინავე მიუძღვნა, წერდა: „პოლიტიკა და დიდი ხანია შეტანილია სპორტში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის მთავრობის მიერ“. „სწორედ ეს აღნიშნავს — ხაზს უსვამს გახეობი, — მსჯელობენ სპორტსმენის შესაძლებლობების კანის ფერის მიხედვით ითამაშოს კნეტი, რეები თუ ჩოგბურთი“.

„არსებობს მხოლოდ ერთი გზა, რათა შეიცვალოს მდგომარეობა, — უკეთესი სამხრეთაფრიკელთან შეხვედრაზე სპორტში მანამ, სანამ ამ რესპუბლიკაში დისკრიმინაციის ბოლო მოეღებება, — დასაკენის გახეობი.“

ბევრი წერილი და დებუება მეტრეველის, დმიტრიევისა და ლიხაროვის სახელზე ბრიტანეთის კუნძულების მცხოვრებთაგან. ისინი იწონებენ საბჭოთა სპორტსმენების მოქმედებას. აი, რა მიწერა „დეილი ტელეგრაფი“ რედაქციას კრისტეინ ოტონის მიმართ:

„ინგლისელებს რომ კითხვით, თუ რას ფიქრობენ ისინი სამხრეთ აფრიკაში აპარტეიდის შესახებ, უმრავლესობა გაიასუბნენ უარყოფითად“. „მაგრამ ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ რასობრივი დისკრიმინაციის წინააღმდეგ მხოლოდ სიტყვებით, — განაგრძობს ავტორი. — და, როცა საქმე კონკრეტულ მოქმედებაზე გადადის, როგორც უიმბლდონში მოხდა, ეს „უხეშად“ გვეჩვენება. რატომ ვაცხადებთ მხოლოდ პროტესტს და სხვას არაფერს ვაკეთებთ?“

საბჭოთა სპორტსმენების პოზიციას მხარს უჭერს დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის გახეობი „დეილი უორკერი“.

„როგორი უტიფრობა და უპირატესი გამოჩინეს მათ, ვინც ბრალს დასდის რესპუბლიკის სპორტსმენების მიმართ, როცა ეს უკანასკნელნი პროტესტს აცხადებენ აპარტეიდის წინააღმდეგ!“ — წერს გახეობი. „დეილი უორკერი“ მალაღ შეფასებას აძლევს მეტრეველის მოქმედებას, რადგან სწორედ მან მიიქცია ინგლისისა და მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღება რასობრივი პრობლემებისადმი.

მაშასადამე, ორი დამატებითი საწინააღმდეგო რეაქცია გამოიწვია საბჭოთა ჩოგბურთელების მოქმედებამ: აღამაინების გაბრაზება, ვინც ებღავება მათთვის საყვარელ კოლონიურ წესებს მათი შექმნა და მხარდაჭერა, ვინც იბრძვის აღამაინის უფლებებისათვის.

ს უ რ ა თ უ ე : ა. მეტრეველი.

ს ე ლ ო ვ ნ ე ბ ი ს  
დ ა მ ვ ა ს ა მ ა ლ ი  
ერნესტ ჰემინგუის სურათების მდიდარი კოლექცია ჰქონდა. რომელიც ძალიან ამაღობდა. ერთხელ როდესაც მწერალი სტუმრებს აუბოძდა მის მიერ შეგროვებულ ხელოვნების ნაწარმოებებს, შეამჩნია რომ ერთ-ერთი სტუმარი ძალიან გულგრილად შეჰყურებდა ნახატებს მაგრამ როცა იგი შეისრინეს „საქალაქო პარტიასთან“ მივიდა, შეჩერდა და დაუფარავი ინტერესით დააკვირდა სურათს.  
— როგორია? — იკითხა გახარებულმა ჰემინგუემ, — ეს სურათი მოკლეა?  
— შესანიშნავია! — უპასუხა სტუმარმა. — თურები სამ სკალაში აშმათებენ შეეების მეფეს.  
რედაქტორი მ. პაპაბაძე

## წარსულის ფურცლებიდან

1961 წლის ზაფხულში, საკავშირო მეცნიერებათა აკადემიის კამჩატკის კომპლექსური ექსპედიციის თხოვნით, ვსელმძღვანელობდი ამ ექსპედიციის ზღვის სანაპირო და პალეობოტანიკური რაზმის საველე სამუშაოებს. ჩრდილოეთ კამჩატკაში, ოლიუტორის კონცხზე ყოფნისას, გავეცანი ადგილობრივ საფოხლო და საარქივო მასალებს. ერთ-ერთ ასეთ ძველ გეოლოგიურ ანგარიშში ამოვიკითხე, რომ კორხვის უბნის ნახშირიანი საბადო 1907 წელს შეუსწავლია, სხვებთან ერთად, სამთო ინჟინერ გ. ი. ნაცვალოვს. სხვა დაცული ცნობის მიხედვით, გ. ი. ნაცვალოვი კარგი მთამსვლეელიც ყოფილა, ასეუა კამჩატკის ყველა უმაღლეს ვულკანურ მწვერვალზე, რომელთა სიმაღლე 4000 მეტრს აღემატებოდა.

გვარის წმინდა ქართული ფუძის (ნაცვალი) მიხედვით, უტყუარად უნდა მივიჩნიოთ, რომ სამთო ინჟინერი და მთამსვლეელი გ. ი. ნაცვალოვი იყო ჩვენი თანამემამულე — ნაცვლიშვილი.

ძველი ჟურნალ-გაზეთების გადათვალიერების დროს, ჟურნალ „ზევსდას“ 1903 წლის აპრილის ნომერში (№ 22), კერძოდ, სპორტულ განყოფილებაში (გვ. 545), ამოვიკითხე შემდეგი ცნობა: ხარკოვის ტანვარჯიშული საზოგადოების ზაზუნაზე დამთავრებულა სამხრეთ რუსეთის 1903 წლის ჩემპიონატი ტანვარჯიშში. პირველი ჯილდო 104 ქულით მოუპოვებია დამპყდს, რომელსაც შეუსრულებია ყველა აუცილებელი ვარჯიში. მეორე ჯილდო დაუშასხურებია რემიზოვს. მესამე კი — კანდროვს. გარდა ამისა, სპეციალური ჯილდო მიუსჯიათ ჯანარიძისათვის, რომელსაც განსაკუთრებული ოსტატობით შეუსრულებია ვარჯიშები ღერძზე და ორიძლე.

უდავოა, რომ ეს უკანასკნელი ქართველია და მისი გვარი დამახინჯებითაა დაბეჭდილი. სინამდვილეში აქ ჯაფარიძეზე უნდა იყოს ლაპარაკი და არა ჯანარიძეზე.

თავისთავად ცხადია, აღნიშნულმა ფაქტებმა არ შეიძლება არ გამოიწვიოს ინტერესი და საკითხის დასმა, თუ ვინ იყვნენ ჯაფარიძე და ნაცვლიშვილი, ან როგორ წარიმართა მათი შემდგომი ცხოვრება და მოღვაწეობა.

მაგრამ საკითხის მხოლოდ ასე დასმაც არაა დამაკმაყოფილებელი. ფიზკულტურა, ისევე როგორც მეცნიერება, ხელოვნება და მწერლობა, ერის განვითარების დონის, მისი საერთო კულტურის მაჩვენებელია. ეს კი ყველას ავალებს, რომ საჭიროა აღინუსხოს ყოველგვარი ცნობები ჩვენში სპორტის განვითარებისა და სპორტულ მიღწევათა შესახებ, ისევე როგორც ქართველ მოღვაწეთა შესახებ.

ცხადია, რომ ამას მარტო ისტორიული მნიშვნელობა არ უნდა მიეცეს და მით უმეტეს, „ურა-პატრიოტული“ ფრაზეოლოგიის საკვები არ უნდა გახდეს. ყოველგვარი წარსული გაკვეთილს იძლევა უკეთესი მომავლისთვის. ამ მხრივ ჩვენი სპორტული წარსულის გამოვლინება დარაზმავს სპორტსმენთა დღევანდელ თაობას მაღალი სპორტული მაჩვენებლების მიღწევისათვის.


ფ. მვალიშვილი, გეოლოგიურ - მინერალოგიურ მეცნიერებათა დოქტორი.

## ჩემპიონატის პირველ დღეს

გუშინ თბილისში, „განთიადის“ მოედანზე დაიწყო საქართველოს ჩემპიონატი ფრენბურთში. როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდები დაყოფილი არიან 2-2 ქვეჯგუფად. აქ I-II ადგილებზე გასული კოლექტივები შექმნიან ფინალურ ჯგუფებს, სადაც საბოლოოდ გაირკვევა ახალ ჩემპიონთა „კინაოზა“.

ქალთა შორის პირველობისთვის ბრძოლაში ჩაება 7 კოლექტივი. გუშინდელი მატჩები ახე დამთავრდა: I ქვეჯგუფში — ფიჭულტურის ინსტიტუტი — ქუთაისი 3:0, რუსთავი — აჭარა 3:1; II ქვეჯგუფში — თბილისის პედინსტიტუტი — გორი 3:0.

ვაჟთა კოლექტივების შეხვედრებმა ასეთი შედეგები მოგვცა: I ქვეჯგუფში — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი — ფიჭულტურის ინსტიტუტი 3:2, რუსთავი — გორი 3:1; II ქვეჯგუფში — აფხაზეთი — ქუთაისი 3:1, აჭარა — თბილისის „დინამო“ 3:1.



ნახატები ამოღებულია „სპორტოვეტიდან“ (პოლონეთი).

## უცხოეთის იუმორის განყოფილება



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: თბილისი — 8, ლენინის ქ. № 13, დეპარტამენტში — თბილისი, „ლელო“. ტელეფონები: რედაქტორი — 3-35-82, პასუხისმგებელი მდივანი და სპორტული განყოფილება — 3-35-09, ქვესადგური (3-15-00-დან 09-მდე), პასუხისმგებელი მდივანი — 5-30, სპორტული განყოფილება — 5-41, მასობრივ-ფიჭულტურული განყოფილება — 5-14, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილება — 5-14, ფოტოლაბორატორია — 5-16, მემანქანეთა ბიურო — 5-11, გამომშვები — 3-81.

თბილისი სპორტული განყოფილება  
შენაშართი, სსრ კავშირის პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის.  
9 ივლისი. სპა (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი). დუბლმეზღვენილობაში. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 19 ს. 10 ივლისი. სპა (როსტოვი) — „დინამო“ (თბილისი). ძირითადი შემადგენლობაში. „დინამოს“ სტადიონი. დასაწყისი 20 ს. ოსტატოთა გუნდების შეხვედრის წინ 18 საათსა და 30 წუთზე შედგება ეზობისა და ქუჩების გუნდების გათამაშების ფინალური მატჩი.  
მედიკოსები. 10—12 ივლისი. თბილისის პირადი პირველობა. ვ. ი. ლენინის სახელობის სტადიონი. დასაწყისი 18 ს. შეჯიბრებაში მონაწილეობის მსურველები უნდა ჩაეწვიონ საორგანიზაციო კომიტეტში: ქალაქის სპორტკავშირი, კონსტიტუციის ქ. № 6. ტელეფონი 5-43-26.  
ფრენაშართი. 7—11 ივლისი. საქართველოს პირველობა „ა“ კლასის გუნდებს შორის. „განთიადის“ ფრენბურთის მოედანზე. დასაწყისი დილის 10 და 16 საათზე.